

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა

და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

## ოქმი N 8

ქ.ვანი თავისუფლების N65

4 სექტემბერი 2019 წელი

12 : 00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:** გიგა გოგიბერიძე, დავით ხარბეიშვილი, გია ხარაბაძე, პაატა ხურციძე, დავით ადეიშვილი, აპოლონ რამიშვილი, სანდრო ხურციძე, მალხაზ ცერცვაძე.

**საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ:** ბიჭიკო პაიკიძე, შოთა გიორგაძე, რობიზონ ფუტკარაძე, გია ოჩხიკიძე.

*სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.*

*/დანართი N1/*

### **მოწვეული პირი:**

*ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - ზვიად კაპანაძე.*

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გიგა გოგიბერიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიული საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე - სალომე ფახურიძე

## დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 565 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 102 კვმ შენობა-ნაგებობის (ს/კ 31.01.22.300) სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზურფუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს: ზვიად კაპანაძე

**გადაწყვეტეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

დანართი N2

**მოისმინეს :**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 565 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 102 კვმ შენობა-ნაგებობის (ს/კ 31.01.22.300) სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზურფუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე განკარგულების პროექტი.

დანართი N3

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ საკითხს.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

**დაადგინეს:**

კომისიამ მოიწონა და მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საკითხს და საკითხი მზადაა ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**გიგა გოგიბერიძე**

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა  
და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე